სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/38

ქ. თბილისი 27 03 2018 წ.

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განმახორციელებელი ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/BP-საქართველოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ტექნიკური გადამზადების ცენტრის" მიერ შემუშავებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში პროგრამა) დანერგვის პროცესისათვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნას შიდა მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

   - ნინო ტუსკია, სტუ/BP - საქართველოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ტექნიკური გადამზადების ცენტრის" გენერალური მენეჯერის მოადგილე - ჯგუფის თავმჯდომარე;
   - ვიქტორ ბარამია, სტუ/BP - საქართველოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ტექნიკური გადამზადების ცენტრის" გენერალური მენეჯერი - ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
   - ია მოსაშვილი, პროგრამა „სამრეწველო ავტომატიზაციის" ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი;
   - სალომე ონიანი, პროგრამა „სამრეწველო ავტომატიზაციის" მასწავლებელი - ჯგუფის წევრი;
   - ნანა ბაქრაძე, პროგრამა „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის" ხელმძღვანელი - წევრი;

- ნია ნათბილაძე, პროგრამა „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის“ მასწავლებელი - ჯგუფის წევრი;
- ხათუნა ამყოლაძე, პროგრამა „მექატრონიკის“ ხელმძღვანელი - ჯგუფის წევრი;
- ნატალია ჭანტურია, პროგრამა „მექატრონიკის“ მასწავლებელი - ჯგუფის წევრი;
- ნატალია კერესელიძე, პროგრამა „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ ხელმძღვანელი - ჯგუფის წევრი;
- გრიგოლ ხარშილაძე, პროგრამა „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ მასწავლებელი - ჯგუფის წევრი;

- სალომე გულბანი, სტუ/BP - საქართველოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ტექნიკური გადამზადების ცენტრის“ შრომის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერი - ჯგუფის თავმჯდომარე;
- მარიამ ქობალია, სტუ/BP - საქართველოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ტექნიკური გადამზადების ცენტრის“ ექსპერტი სოციალურ და გენდერის საკითხებში - ჯგუფის წევრი.

დაევალოს ჯგუფს:

ა) შეადგინოს მონიტორინგის გეგმა;

ბ) მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, ჩაატაროს მონიტორინგი;

გ) ლექციაზე/პრაქტიკულ სწავლებაზე/შედეგზე მონიტორინგი აწარმოოს ჯგუფის თავმჯდომარემ ან მოადგილემ და ჯგუფის სამმა წევრმა; მონიტორინგის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის თავმჯდომარე ან მოადგილე და მონიტორინგზე დამსწრე ყველა ჯგუფის წევრი;

გ) შეაგროვოს საჭირო ინფორმაცია;

დ) მოახდინოს პრობლემების იდენტიფიცირება;

ე) შეიმუშავოს პრობლემების გადაჭრის გზები;

ვ) შეამოწმოს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია;

ზ) წარმოადგინოს სრული ინფორმაცია პროგრამის დანერგვის მიმდინარეობისა და მონიტორინგის განხორციელების შესახებ ყოველი თვის 25 რიცხვამდე;

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ე. ნარეშელაშვილი);

4. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *არჩილ ფრანგიშვილი*